რუსეთის ომი უკრაინაში: ტოტალიტარული სტრუქტურების რეგენერაციის ლოგიკა

RUSSIA'S WAR IN UKRAINE: THE LOGIC OF THE REGENERATION OF TOTALITARIAN STRUCTURES

ლევ გუდკოვი
ლევადა-ცენტრი

Lev Gudkov
Levada-Center

Abstract

The author analyses the development of anti-Ukrainian propaganda and attitudes in Russia. He emphasises that this process was accelerated by a weak reaction of the international community concerning the Russian aggression against Georgia in 2008; fear of the "colour revolutions", and the Kremlin's unacceptability of Ukraine's integration within the European Union; increased ambitions after the annexation of Crimea, which was reflected in "Novorossiya" project. Furthermore, the Russian government put much effort into creating the image of "the Enemy" from the West and labelling Ukrainians as Nazis.

According to the author, western experts dedicating more attention to the plutocratic nature of Russia overlooked the growing influence of "Power agencies" (Siloviki) in governance. The West ignored Russia's totalitarian roots, expressing optimism based on prospects of democratic "transitology" while the clouds of war were gathering gradually.

The regeneration of totalitarian society is not taking place only in Russia, and the author briefly indicates other post-Soviet examples as well. However, the essay focuses on Russia, underlining the "geopolitical mentality" of its leadership. Additionally, the author considers Putinism as an ideology which aims to restore complete control over society and discredit the idea of reforms. According to the author, this ideology is eclectic and populist.

The key word of this essay is "totalitarian syndrome". The author explains where and how it manifests itself in Putin's Russia. Interestingly, Putin's version of totalitarianism does not derive from the revolutionary party's ideology, as it establishes "from above", and compared to the communist variant, it is the "secondary". Emphasis is made on privatising institutions of violence and the government's alliance with the criminal world.

The author expresses a strong interest in the reaction of Russian society, establishing that, generally, a significant part of the population is vulnerable to propaganda, and adaptation to state violence is deeply rooted in public culture. All of the above mentioned serves as a precondition for wars. The author concludes that, during his life, the Russian Federation has been at war for 26 years, and it still is.

24 თებერვალი სრულიად მოულოდნელი იყო დასავლური საზოგადოებისთვის და რუსეთში პუტინის მოწინააღმდეგეებისთვის. მათგან განსხვავებით, რუსეთში საზოგადოებრივი აზრი უკვე დიდი ხანია, შემზადებული იყო უკრაინასთან ომისათვის. ანტი-უკრაინული თემა პუტინის ხელისუფლებაში მოსვლიდან და „სუვერენული“ თუ „მართული დემოკრატიის“ დამყარებიდან მალევე გამოჩნდა ტელევიზიის ფედერალურ არხებზე. მტრული განწყობების ტალღები თან ახლდა უკრაინის ყველა საარჩევნო პერიოდს, განსაკუთრებით ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ, როცა უკრაინულ საზოგადოებში მკაფიოდ გამოიკვეთა ევროკავშირში ინტეგრაციისკენ სწრაფვა და ნატოში შესვლის სურვილი. მაგრამ 2008 წლამდე ამ პროპაგანდის ეფექტი უმნიშვნელო იყო, რადგან ბრალდებები ფოკუსირებული იყო „ფერადი რევოლუციების“ საფრთხეზე, რაც პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართ დასავლური გეოპოლიტიკის ინსტრუმენტების მოქმედებით იხსნებოდა. მაშინ ჯერ კიდევ არ ისმებოდა საკითხი უკრაინის უშუალო დაქვემდებარებისა და მისი ხელისუფლების შეცვლის შესახებ. რუსეთის მოსახლეობას ეს დიდად არ აინტერესებდა, რადგან ამაში ვერანაირ პრობლემას ვერ ხედავდა.

სიტუაციის შეცვლა დაიწყო 2008 წლის აგვისტოს შემდეგ, როცა უკრაინის ხელმძღვანელობამ „ჯეროვანი გაგება“ არ გამოიჩინა და რუსეთს მხარი არ დაუჭირა საქართველოსთან ომში. რუსეთის გავლენის სფეროდან საქართველოს გასვლამ ანტი-ქართული (ასევე ანტი-ესტონური, ანტი-ლატვიური და ანტი-ლიეტუვური) პროპაგანდის მწვავე აფეთქება გამოიწვია, რამაც მოსახლეობის იმპერიული წარმოსახვები გამოაცოცხლა. ეს განწყობები უშუალოდ აისახა უკრაინისადმი დამოკიდებულებებზე.

რუსეთის უმსხვილეს ქალაქებში 2011-2012 წლების მასობრივმა ანტი-პუტინურმა გამოსვლებმა რუსეთის ხელმძღვანელობას „ვარდებისა“ თუ „ნარინჯისფერი“ რევოლუციების „სცენარების“ განმეორებისა და ხელისუფლების დაკარგვის შიში გაუჩინა. მოსკოვისგან დამოუკიდებელი და წარმატებული უკრაინის, მითუმეტეს, ევროპული საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი უკრაინის პერსპექტივა უსერიოზულეს საფრთხეს წარმოადგენდა პუტინის კორუმპირებული და ავტორიტარული რეჟიმისათვის, რომელსაც ქვეყანა თანამიმდევრულად მიჰყავდა კონსერვატორული და ანტილიბერალური დიქტატურისაკენ.

თუმცა უკრაინისადმი სიმპათიის რადიკალური შეცვლა და ანტიპათიად ქცევა უკვე მაიდანის მოვლენებისა და 2014 წლის გაზაფხულზე ყირიმის ანექსიის შემდგომ იწყება. „პატრიოტულმა“ (უფრო ზუსტად – შოვინისტურმა) ეიფორიამ, რამაც რუსეთის საზოგადოება მოიცვა, არა მარტო პუტინის პოპულარობა აღადგინა (რომელიც 2013 წლისთვის მინიმუმამდე იყო დაცემული), არამედ იმპერიული და მილიტარისტული განწყობების აღზევებაც გამოიწვია. ყირიმში „მწვანე კაცუნების“ წარმატება სარკისებურად აისახა უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებზე, რასაც მოყვა დონბასის სეპარატისტული ძალების ფორმირება (რაც წარმოუდგენელია რუსეთის ფინანსური და სამხედრო მხარდაჭერის გარეშე). ექსპანსიის შემდეგი ნაბიჯი (დონბასის „ჰიბრიდული ომი“) უნდა ყოფილიყო „ნოვოროსია“ – დონეცკისა და ლუგანსკის, ოდესისა და სხვა რეგიონების „დამოუკიდებლობის“ აღიარების სცენარის განმეორება მას შემდეგ, რაც იქ პრორუსულ შეიარაღებულ ფორმირებებსა და რუსულ ჯარებს შეიყვანდნენ, როგორც ეს ადრე მოხდა ოსეთში, აფხაზეთსა და დნესტრისპირეთში. ყირიმის ანექსიაზე (ისევე, როგორც საქართველოს ომზე) დასავლეთის რეაქციის სისუსტემ, თავის მხრივ, ნაციონალური ყოყოჩობის ტალღა ააფეთქა და მოსახლეობა ხელისუფლებასთან შეაკავშირა. 2014 წელს რუსეთის წინააღმდეგ დასავლური სანქციების დაწესებამ მეტწილად საპირისპირო ეფექტი გამოიღო. სანქციების შემოღების ფაქტმა

პროპაგანდას საფუძველი მისცა, უკრაინული ნაციონალიზმი, ერთი მხრივ, „ნაციზმთან“ და „ფაშიზმთან“, მეორე მხრივ კი – დასავლეთის რუსოფობიასთან გაეიგივებინა. უკრაინაში ფაშიზმის არსებობის რიტორიკა მოიცავდა გვიანი საბჭოური იდეოლოგიის მთავარ მოტივს, თავად სსრკ-ს და სტალინიზმის გამართლებას – გერმანიაზე გამარჯვებას, როგორც რუსეთის (რომელმაც სსრკ-ს სამართალმემკვიდრედ გამოაცხადა თავი) მორალური და სიმბოლური კაპიტალის საფუძველს. მეორე მსოფლიო ომის ენაზე, ფაშიზმთან ბრძოლის ენაზე გადასვლამ პრაქტიკულად მთლიანად ამოძირკვა რუსეთისა და უკრაინის სიახლოვის გაგება და უკრაინის მიმართ თანაგრძნობა გააქრო. პროპაგანდა თანდათანობით ეწეოდა უკრაინელების დეჰუმანიზაციას და მათთან მიმართებით ყველანაირ მორალურ ტაბუსა და ძალადობის შეზღუდვას აუქმებდა. (დანართი, გრაფ. 1,6)

„ნოვოროსიის“ გეგმის ჩავარდნა, სეპარატისტული მოძრაობის უპერსპექტივობა, დონბასში საომარი მოქმედებების გაწელვა და საპრეზიდენტო არჩევნებზე ზელენსკის გამარჯვება პუტინის გარემოცვას უბიძგებდა უკრაინის სახელმწიფოს ძალისმიერი განადგურების გადაწყვეტილებისაკენ და უკრაინაზე პრორუსული პროტექტორატის დამყარებისაკენ. სადღაც 2018-2019 წლებიდან უკვე ჩნდება ფართომასშტაბიანი ომისთვის მზადების სახიფათო ნიშნები. თუმცა არც რუსეთის სუსტი ლიბერალური ოპოზიცია და არც დასავლელი ანალიტიკოსები მთავარ ფაქტს არ აქცევდნენ ყურადღებას – ქვეყნის ხელმძღვანელობაში ძალოვანი ბლოკის გავლენის გაძლიერებას, რაც გულისხმობდა მასში უწინდელი რეპრესიული სოციალური ინსტიტუტების (КГБ – საიდუმლო პოლიტიკური პოლიციის) წარმომადგენლების შეყვანას. ისინი მხოლოდ პუტინის მმართველობის პლუტოკრატიულ და კლეპტოკრატიულ ასპექტებზე აკეთებდნენ აქცენტს. საქმე მხოლოდ იმაში არაა, რომ ისინი რუსეთის ხელმძღვანელობაში დომინირებდნენ და, შესაბამისად, საზოგადოებაზე ზეგავლენასაც აფართოებდნენ. უფრო მნიშვნელოვნად უნდა მიჩნეულიყო მათი კორპორაციული „ჩეკისტური“ მენტალობა (სახელმწიფოს ტოტალურობის პრინციპი, აზროვნების კონსპიროლოგიური ფორმები, პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის ძალისმიერი, სამხედრო მეთოდებისკენ მიდრეკილება) და მსოფლიოს თანამედროვე პროცესების შესახებ შეზღუდული წარმოდგენები.

ბევრი მიზეზია, რამაც გამოიწვია პოსტკომუნისტური რუსეთის ევოლუციის გააზრების ამგვარი „სიბრმავე“, რატომ არ ჰქონდათ მისი კოლექტიური იდენტობის ხასიათისა და ინსტიტუციური სტრუქტურის თავისებურებების წვდომის სურვილი. რუსეთსა და დასავლეთში ამ გაუაზრებლობის მიზეზი სხვადასხვაგვარი იყო: აქ იყო იმპერიული კულტურის ტრადიციებისადმი გაძალიანებაც, პოპულიზმიც (რომელიც ბლოკავდა სახელმწიფოებრივი ძალადობით დამახინჯებული მასობრივი ცნობიერების ბნელი მხარეების ანალიზის შესაძლებლობას), ანალიზისთვის საჭირო თეორიული რესურსების ნაკლებობაც, ტრანზიტოლოგიური კონცეფციების სიმრავლეც (მიუხედავად მათი უსაფუძვლობისა და ეკლექტური ხასიათისა) და დასავლეთის ქვეყნებისა და კორპორაციების რუსეთთან ეკონომიკური პარტნიორობის პრაგმატული ცინიზმიც.

რუსეთში განვითარებული პროცესების ინტერპრეტაციისთვის ყველაზე პროდუქტიულად მიმაჩნია ტოტალიტარიზმის პარადიგმა, რომელიც ბატონობის (господство) სისტემურ ხასიათზე აკეთებს აქცენტს. ეს მოიცავს მასობრივი ცნობიერების ფორმირებასა და დამორჩილებას, მის კონტროლს, სოციალიზაციისა და ხელისუფლების იდეოლოგიური ლეგიტიმაციის პროცესებს. ამ პარადიგმას, იმისგან განსხვავებით, თუ რას გულისხმობდა პოსტსაბჭოთა სივრცეში ტოტალიტარიზმი (ტერორს, იდეოლოგიურ მონოლითურობას,

საკონცენტრაციო ბანაკებს თუ რეპრესიებს), ხანგრძლივი განვითარების ისტორია ჰქონდა. მასში რამდენიმე ფაზა შედის: ბატონობის ახალი ფორმების აღწერა (1920-1930-იანი წლების დასაწყისი), ტოტალიტარული სისტემის სრულყოფილი განვითარება (ნაციზმი – 1935-1945 წწ.; საბჭოთა კომუნიზმი – 1930-1975 წწ.) და რღვევისა და ნგრევის სტადია (1975-1989 წწ.). ნაკლებადაა დამუშავებული ის პრობლემები, რომლებიც პარადიგმის კონცეპტუალური განვითარების მეოთხე სტადიაში შედის – ტოტალიტარიზმიდან გამოსვლის პერსპექტივები.

პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვის დემოკრატიის წინასწარგანსაზღვრულობის ილუზიებმა და რეფორმატორების იდეოლოგიურმა ცრურწმენებმა დაბლოკა იმ სირთულეებისა და დაბრკოლებების გააზრება, რაც ამ გზაზე შეიძლება გაჩენილიყო და დემოკრატებიც მოიხიბლნენ ძველი სისტემის ტრანსფორმაციის პოლიტიკის იოლი ტრანზიტოლოგიური რეცეპტებით. მხოლოდ ძალიან გვიან და დიდი ძალისხმევისა და წინააღმდეგობის შედეგად დაიწყო იმის გააზრება, რომ ამ ქვეყნების მოსახლეობა კულტურული ინერციითა და ძლიერი ადაპტაციის უნარით იყო მიბმული ინსტიტუციურ ძალადობასა და პატერნალისტურ სახელმწიფოზე (Лёзина 2021).

პოსტსაბჭოთა სივრცეზე (ანდა, უფრო ფართოდ, აღმოსავლეთ ბლოკის, სოცბანაკის სივრცეზე) განვითარებული მოვლენები ორივე ვარიანტს გვთავაზობს: როგორც წარმატებული ვესტერნიზაციისა და დემოკრატიის მშენებლობის, ასევე ტოტალიტარული სისტემების გადასვლას ბატონობის ავტორიტარულ ან კვაზიტოტალიტარულ ტრადიციონალისტურ ტიპებზე. პირველ შემთხვევაში ეს ქვეყნები (ბალტიის ქვეყნები, პოლონეთი, ჩეხეთი) ტრანზიციის პერიოდის სირთულეებს მხოლოდ იმიტომ იტანენ მოთმინებით, რომ ადამიანები არიან სოლიდარულები, მათ აერთიანებთ „საერთო სიკეთის“ შეგნება და იმის გააზრება, რომ ამ სირთულეების გადატანა გამართლებულია. ისინი ხედავენ პერსპექტივას. ამ სოლიდარულობისა და სამოქალაქო ცნობიერების პირობად ჩანს სამოქალაქო საზოგადოების ძველი სტრუქტურების, არაფორმალური გაერთიანებების ნარჩენების არსებობა და მეხსიერება საკუთარ სახელმწიფოებრიობაზე, რაც კომუნისტური სისტემის დანერგვამდე ჰქონდათ. მეორე შემთხვევაში (სადაც საკუთარი სახელმწიფოებრიობის მეხსიერება და, აქედან გამომდინარე, არც საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და არც სამოქალაქო საზოგადოების ხსოვნა არაა შემორჩენილი) სირთულეების გადატანას სხვაგვარი ხასიათი აქვს: უალტერნატივო, გაუმართლებელი და უიმედო ბრძოლა გადარჩენისათვის ამ სრულიად აზრსმოკლებულ, გარე იძულების პირობებში. ამიტომაა ეს დამოკიდებულება ასოციალური. საზოგადოება ფიქრობს, რომ პრობლემების გადაჭრა მხოლოდ ინდივიდუალურ დონეზეა შესაძლებელი.

ის ფაქტი, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში კონსერვატიული ნომენკლატურული რევანშის რუსული სცენარები მეორდება, იმაზე მეტყველებს, რომ ეს შემთხვევითი მოვლენები არაა, არამედ ტოტალიტარული სოციუმის ჩამოშლისა და რეგენერაციის ევოლუციის გარკვეული კანონზომიერების გამოვლინებაა. ეს მიუთითებს საზოგადოების ამორფულობაზე, ორგანიზების უუნარობაზე ან ქმედითუნარიანობის დაქვეითებაზე (შეზღუდულობაზე) იმ დროს, როცა ძალადობრივი ინსტიტუტები ბევრად მაღალ ორგანიზაციულ პოტენციალს ამჟღავნებენ პირველი მარცხისა და იძულების სხვა სტრუქტურების ნგრევის შემდგომ. რეპრესიული და არადემოკრატიული რეჟიმების აღდგენილი ფორმები ყველაზე ხშირად ჩნდება ლიბერალიზაციისა და დემოკრატიული ტრანსფორმაციის საწყისი პერიოდიდან გარკვეული დროის გასვლის შემდგომ (ასე მოხდა ბელორუსში, ყაზახეთში, აზერბაიჯა-

ნში, სომხეთში). ასეთივე ვითარებაა რუსეთშიც. მეორე ვარიანტს წარმოადგენს შუა აზიის (პირველ რიგში, თურქმენეთის, უზბეკეთისა და ტაჯიკეთის) პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების ევოლუციური ტრაექტორია. სსრკ-ს დანგრევის შემდეგ ყოფილი სოცბანაკის ყველა ქვეყანაში პოსტსაბჭოთა არსებობის პირველ ხანებში შეიმჩნეოდა სამხედრო ხარჯების მკვეთრი შემცირება, არმიებისა და სამხედრო წარმოების კომპლექსების ჩამოშლა, მილიტარისტული და ექსპანსიონისტური რიტორიკის შემცირება. მიუხედავად ამისა, პოლიტიკური ამოცანების გადასაჭრელად შეიარაღებული ძალების გამოყენების ტენდენცია შენარჩუნდა სსრკ-ს ყველა ყოფილ რეგიონში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გარდა. რუსეთში ძალადობრივი მეთოდების გამოყენებისთვის მზაობა თვალნათლივ გამოჩნდა უკვე 1993 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე (ნომენკლატურული რეაქციის შეიარაღებული გამოსვლების ჩახშობა), აფხაზეთისა და მთიანი ყარაბაღის საომარ კონფლიქტებში, ჩეჩნეთის 1994-2009 წლების ომებში.

წმინდად პოლიტიკურ კონფლიქტებსა და ინტერესთა ჯგუფების დაპირისპირებებში არმიის გამოყენება ნიშნავდა თავდაპირველად გაუცნობიერებელ, შემდგომში კი უკვე ღიად გამოცხადებულ უარს ძალაუფლების თანამედროვე ინსტიტუტების განვითარების პერსპექტივასა და შესაძლებლობაზე (შემაკავებელი და საპირწონე, სისტემების ფორმირება, კომპრომისების, სამართლებრივი რეგულაციების შემოღება, რასაც უნდა განეხორციელებინა სახელმწიფო აპარატის „აღმასრულებელი შტოს“ ყოვლისმპყრობელობისა და თვითნებობის თანდათანობით შეზღუდვა). ჩეჩნეთის ომში რუსეთის ხელმძღვანელობის მარცხმა და ვეებერთელა, მაგრამ დემორალიზებული არმიის აშკარა უუნარობამ (რაც საქართველოს მოკლეხნიანი ომის დროს გამოჩნდა) მკვეთრად გაზარდა ყველაზე კონსერვატორული ინსტიტუტების გავლენა – გენერალიტეტისა და პოლიტიკური პოლიციის, რომლებმაც სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიაზე პასუხისმგებელი აპარატი დაიქვემდებარეს. არმიის სისუსტის აღიარებამ გამოიწვია მისი ხარჯების დაფინანსების ზრდა და მისი ახლებური შეიარაღება (დემოკრატიულ ქვეყნებთან სამხედრო-სტრატეგიული წინააღმდეგობის საბჭოთადროინდელი კონცეფციის შეუცვლელად), უშიშროების ორგანოების დაფინანსების გაზრდა, მმართველობის ცენტრალიზაცია, სხვადასხვა ტიპისა და დონის ადმინისტრაციებში სამხედრო კონტინგენტის სიჭარბე, ქვეყნის ხელმძღვანელობაში გეოპოლიტიკური მენტალობის დომინირება. 2010 წელს იწყება იმპერიული აზროვნების რეანიმაცია და პროპაგანდა, რომელიც რეჟიმის ლეგიტიმაციისა და საზოგადოებაზე შინაგანი კონტროლის გასაძლიერებელ ბაზად იქცა.

თუმცა, ტოტალიტარიზმის რეციდივი არ მოუმზადებია მარტო პოლიტიკის მილიტარიზაციას (რაც იმპერიული (საბჭოთა და საბჭოეთამდელი) კულტურის რესურსებს ემყარებოდა). ეს რეციდივი მთელი ინსტიტუციური სისტემის თანამიმდევრულმა ცვლილებამ განაპირობა, ეკონომიკის, სამართლისა და სასამართლო ბიუროკრატიის, ხელისუფლების რეპრესიული ორგანოების, ზოგადი განათლების, მედიის, სახელისუფლებო სტრუქტურებისთვის კადრების მომზადებისა და სხვათა ჩათვლით.

პუტინის რიტორიკა, რაც მოიცავდა „სტაბილურობას“, „წესრიგს“, შემდგომში კი – სუვერენიტეტის დაცვასა და ეროვნულ აღორძინებას, მართლმადიდებლურ ტრადიციონალიზმს, „გამორჩეული გზასა“ თუ „რუსულ ცივილიზაციას“, ანტი-დასავლურობას, ერთი შეხედვით, მოგვაგონებს ბრეჟნევის გვიანდელი ხანის იდეოლოგიურ მახასიათებლებს – კონსერვატიზმსა და რევოლუციონური იდეოლოგიის დეგრადაციას, რაც რუსულ იმპერიულ ნაციონალიზმში ტრანსფორმირდა. მაგრამ პუტინის რიტორიკის ფუნქცია სხვაა:

პუტინიზმი, როგორც იდეოლოგია, განკუთვნილია ტოტალური ბატონობის სისტემის რესტავრაციის პოლიტიკური კურსის ლეგიტიმაციისათვის და თავად რეფორმების, ცვლილებების, ხელისუფლების საზოგადოებრივი კონტროლის, კრიტიკული დამოკიდებულებისა და რუსეთის დემოკრატიულ რელსებზე გადასვლის იდეის დისკრედიტაციისთვის. ეს არაა ის იდეოლოგია, რომლის დოგმებითა და დადგენილებებითაც ხელმძღვანელობენ ხოლმე ელიტები ხელისუფლების მიტაცებისას ანდა ახალი ინსტიტუციური სისტემის პროგრამის ფორმირებისას, თავისი მმართველობის პოლიტიკის გატარებისას. ეს იდეოლოგია გამოიყენება ხელისუფლების შენარჩუნების უზრუნველყოფისათვის, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვაგვარი ელემენტების ეკლექტურ და პოპულისტურ ნაზავს (დაკარგული სოციალური სამართლიანობის აღდგენა, ტოტალური მტრის ხატი და ხელისუფლება, რომელიც ამ მტრისგან იცავს საზოგადოებას, კოლექტიური ეგოიზმი და მორალური ნიჰილიზმი, სახელმწიფოს დიდებულების რწმენა, მსხვერპლის სინდრომი და სხვ.). ამ იდეოლოგიის დანიშნულებაა იმ ჯგუფების განეიტრალება (ჩამოშორება), რომლებსაც სისტემის შეცვლა სურთ.

განვიხილოთ რევერსიული ტოტალიტარიზმის თავისებურებები მილიტარისტული რუსეთის აღორძინების მაგალითზე. კვლევისათვის მეთოდურ სქემად გამოვიყენებთ „ტოტალიტარული სინდრომის“ კონცეფციას, რომელიც 1956 წელს შემოგვთავაზა კ. ფრიდრიხმა და ზ. ბჟეზინსკიმ (Гудков 2022).

ის მოიცავს შემდეგ ნიშნებს: 1. ოფიციალური, იძულებით ჩანერგილი იდეოლოგია, რომელიც უარყოფს ადრინდელ წესებს და მიმართულია მოსახლეობის კონსოლიდაციისკენ; როგორც სახელმწიფო დოქტრინა, ის მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან მხარეს (ეკონომიკიდან ისტორიამდე, პოლიტიკიდან – ოჯახურ ცხოვრებამდე და ბავშვების აღზრდამდე); 2. „ერის ლიდერი“ – ფიურერი, დუჩე, გენერალური მდივანი, პრეზიდენტი, რომელსაც აქვს ავტორიტეტი შეუცდომლობის, სიბრძნის, შორსმჭვრეტელობისა და ქვეყნის მხსნელის იმიჯის წყალობით; 3. ერთადერთი მმართველი პარტია, რომელიც უზრუნველყოფს მმართველ სტრუქტურებს ხელისუფლების მიმართ ლოიალური ჩინოვნიკების კადრებით; 4. ძლიერი საიდუმლო პოლიტიკური პოლიცია, რომელიც რეჟიმის მოწინააღმდეგეებსა და არასასურველ ელემენტებს იშორებს და რომელიც ხელისუფლების პოლიტიკისა და ინტერესების გატარების მთავარი ელემენტია; 5. ტერორი და მასობრივი რეპრესიები, რაც ემსახურება მოსახლეობის ძირითადი მასის დაშინებას და დისციპლინირებას; 6. სახელმწიფო კონტროლი მედიასაშუალებებზე, რაც მათ ტოტალური პროპაგანდის ძლიერ მექანიზმად გარდაქმნის, უზრუნველყოფს მოსახლეობის მობილიზაციას და მათ ბელადისა და ქვეყნის ხელმძღვანელობის ქმედებათა აპოლოგეტებად აქცევს; 7. შეიარაღებაზე აღებული მონოპოლია და ძალოვანი სტრუქტურების გამოყენება (არმია, პოლიცია, პარამილიტარული წარმონაქმნები); 8. ცენტრალიზებული, სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი ეკონომიკა, რის შედეგადაც ეკონომიკური საქმიანობა ხელისუფლების მიზნებსა და ამოცანებსაა დაქვემდებარებული.

ყველა ეს დამახასიათებელი ნიშანი ამა თუ იმ დოზით წარმოდგენილია პუტინის რუსეთში და განსაზღვრავს პოლიტიკის მილიტარისტულ ხასიათსა და მოსახლეობის იდეოლოგიურ დამუშავებას.

პერესტროიკის მოკლე პერიოდისა და საბჭოთა სისტემის კოლაფსის შემდეგ დიქტატურის აღდგენა არ ნიშნავს სტალინის ან ბრეჟნევის ტოტალური სოციუმი-სახელმწიფოს რეკონსტრუქციას. აქ სხვა რამ იგულისხმება: ურთიერთდაკავშირებული სოციალური

ინსტიტუტების გარკვეული ნაკრების მდგრადი რეპროდუქცია, რომლებიც ბლოკავს და თრგუნავს სოციუმის სტრუქტურული და ფუნქციური დიფერენცირების დროდადრო აღმოცენებულ იმპერატივებს. ეს ინსტიტუტები სახელმწიფოს სახელით გამოდიან და თავს ქვეყნის სრულ სუვერენად აცხადებენ, უზურპირებული აქვთ გადაწყვეტილების მიღების უფლება იმაზე, თუ რა არის „კანონი" და ვისთან მიმართებაში უნდა გამოიყენებოდეს ის და ვინ განთავისუფლდეს მისი შესრულების ვალდებულებისაგან. ამით „სახელმწიფოს" მიმსაკუთრებლები უარს ამბობენ, აღიარონ მორალური და სამართლებრივი ავტონომია ისეთი ცალკეული ჯგუფებისა და სოციალური წარმონაქმნებისა, როგორებიცაა სამოქალაქო საზოგადოება, თვითორგანიზებული გაერთიანებების ფორმები: სამეცნიერო, რელიგიური, მხატვრული, ქსელური თუ სხვა. ეს განაპირობებს ჩახლართულ ურთიერთკავშირებსა და კომუნიკაციებს სოციალურ ჯგუფებსა და საზოგადოებრივ სეგმენტებს შორის. სახელმწიფო ტოტალური ხდება. შედეგად სოციალური ცხოვრება მკვეთრად პრიმიტიულდება და განვითარების შინაგანად მოტივირებულ დინამიკას კარგავს, რომელიც ბევრი კერძო ინტერესის ვექტორითაა განპირობებული. მას ანაცვლებს სახელისუფლებო პოლიტიკა, რომელსაც სოციალური პროცესების „რაციონალურ", „მეცნიერულ" ცენტრალიზებულ მართვაზე აქვს პრეტენზია, შეუძლია მიიღოს „ოპტიმალური გადაწყვეტილებები" მოსახლეობაში (და მთლიანად ქვეყანაში) წამოჭრილი პრობლემების შესახებ და ასევე განავითაროს გეოპოლიტიკური ფანტაზიები „დიადი სახელმწიფოს" აღორძინების შესახებ.

პრობლემა არ დაიყვანება მხოლოდ რეპრესიული ინსტიტუტების დომინირებაზე (პოლიტიკური და კრიმინალური პოლიციის, არმიის, სასამართლოს, პროკურატურისა და სხვ.). პირიქით, ტოტალიტარული სისტემის რეპროდუქციის საკითხი მოიცავს რეგულირებისა და კონტროლის ინსტიტუტებისა და სუბიექტების ბევრად ფართო სპექტრს, რომლებიც, წესით, არანაირად არ უნდა იყოს დაკავშირებული ძალადობის და იძულების პრაქტიკასთან. ესენია: საჯარო სკოლა, მედიასაშუალებები, კულტურა, სპორტი, სამოქალაქო ინიციატივები, ეკლესია, ოჯახი, ინტერნეტი, გართობა და სხვა. თუმცა, ისინი ხდებიან იძულებითი უწყებრივი რეგლამენტირებისა და (ნომინალური) კონტროლის ობიექტები განათლების, კულტურის, სოციალური პოლიტიკის სამინისტროების, მრავალრიცხოვანი ზედამხედველობითი კომიტეტებისა და სამსახურების მხრიდან, რომ აღარაფერი ვთქვათ პარლამენტისა და რეგიონული საკანონმდებლო კრებების დეპუტატების მიერ დამუშავებულ რეპრესიულ და დასაშვები ზღვრების დამდგენ კანონმდებლობაზე.

ამ ინსტიტუტების ფუნქციონირებას იდეოლოგიურად განსაზღვრავს და მიმართულებას აძლევს კრემლის ადმინისტრაცია, რაც ამგვარ პოლიტიკას ერთიანობის, თანამიმდევრულობისა და მთლიანობის ელფერს სძენს (რეალურად კი ეს წინააღმდეგობრივი აქტებისა და დადგენილებების ქაოსს წარმოქმნის, რაც ქვემდგომ ორგანოებში კორუფციასა და შემოქმედებით თვითნებობას უხსნის კარს). ამგვარად, ცვლილებების შემაკავებელ ფაქტორად გვევლინება სახელისუფლებო ინსტიტუტები, ძალადობრივი ინსტიტუტები. მხოლოდ ის არაა, რომ ისინი ტოტალიტარული სისტემის ყველაზე რეზისტენტულ ნაწილს წარმოადგენენ – თავიანთი მაგალითით ისინი თავადვე ბადებენ დანარჩენ ქვესისტემებს.

„ტოტალურობა", როგორც პუტინის რეჟიმის სპეციფიკური მახასიათებელი, პირველ რიგში, ვლინდება ხელისუფლების მფლობელთა ინტენციებში, რომლებიც თავისი წარმომავლობით, აზროვნების წყობითა და კორპორაციული ეთიკით КГБ-ს ნაშიერები არიან. ამიტომაც მათი პოლიტიკური გეგმები, მოლოდინები, ინტერესები, რეალობის გაგება ასახავს „ცივი ომის" დროინდელ, დასავლეთთან კონფრონტაციულ მენტალობას, შიდა

მტრებთან, დისიდენტებთან საბრძოლველად შექმნილი „კომიტეტების“ ნორმატიულ წესებს. ამ ნორმატივების მიხედვით, შიდა მტრებთან მიმართებით დაშვებული იყო ნებისმიერი საშუალება და ქმედება, დემაგოგიის, ფაბრიკაციის, მკვლელობის ჩათვლით, თუკი ეს „სახელმწიფო უშიშროების“ ინტერესებს ემსახურებოდა. რა თქმა უნდა, საქმე „უშიშროებას“ არ ეხებოდა. ამგვარი საშუალებები ხელისუფლების უზურპატორებს და მიმთვისებლებს იცავდა კრიტიკისა და დელეგიტიმაციის საფრთხისაგან. ამ კუთხით თუ ვიმსჯელებთ, ხელისუფლებამ საბჭოთა სისტემის პატერნები იმიტომ კი არ შეითვისა, რომ ისინი უკეთესი, უფრო ეფექტიანი ანდა იდეოლოგიურად გამართლებული იყო, არამედ იმიტომ, რომ პუტინმა და მისმა გარემოცვამ უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეს. ძველი, საბჭოთა სისტემისთვის დამახასიათებელი პრაქტიკების მიბაძვა იმით იყო განპირობებული, რომ ხელისუფლებაში მოსული ძალები განწირული იყო ქმედებებისა და აზროვნების ამ ძველი სტანდარტების კვლავწარმოებისათვის ან განმეორებისათვის. სწორედ ასე ხდება ტოტალიტარული სისტემის რესტავრაცია და რეპროდუქცია.

ცენტრალიზებული გეგმური ეკონომიკისა(„გოსპლანი“)[1] და ერთიანი პარტიის კრახი ჯერ კიდევ არ ნიშნავს ტოტალიტარული სისტემის ბაზისური ინსტიტუტების კრახს. პუტინი და ელცინის სხვა მემკვიდრეები ხელისუფლებაში თავისუფალი არჩევნების გზით, პარტიებსშორისი ღია კონკურენციითა და პოლიტიკური პროგრამის წარდგენით არ მოსულან. მათ ხელისუფლება მიიღეს ბატონობის სტრუქტურებში მათი კოოპტაციის წყალობით, რამაც საშუალება მისცა, შემდგომ თანმიმდევრობით განეხორციელებინათ სახელმწიფო მმართველობის აპარატის შიდა ტრანსფორმაცია. რეალურად, 1990-იანების დამლევსა და 2000-იანების დასაწყისში რუსეთში არანაირი პოლიტიკური პროცესი, იდეოლოგიური კონფრონტაცია და პარტიების პროგრამული ბრძოლა უკვე აღარ მიმდინარეობდა. სხვადასხვაგვარი პოლიტიკოსებისათვის და საზოგადო აქტივისტებისათვის დასაშვებობის ზღვარი ამ დროს უკვე მკაცრად განსაზღვრული იყო.

შეიცვალა ეკონომიკის მართვის მასშტაბები, კონტროლი უფრო გაშუალებული გახდა, რაც მმართველი რეჟიმის ინტერესებს შეესაბამებოდა (პირველ რიგში, მმართველი ელიტის გამდიდრება სახელმწიფო შემოსავლების გადანაწილების ხარჯზე, მათ შორის, არალეგალური გზებითაც). თანმიმდევრობით განვიხილოთ ეს ცვლილებები „ტოტალიტარული სინდრომის“ მდგენელების მიხედვით.

1. *ბატონობის სისტემის ცენტრალიზაცია – ძალადობის სტრუქტურის დეცენტრალიზაცია.*

პუტინის გარემოცვის მიერ სახელმწიფოზე კონტროლის დაწესება მოითხოვდა არაპირდაპირი იძულების საშუალებების გამონახვას: ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას, პოლიტტექნოლოგიურ მანიპულაციებს, მოწინააღმდეგეთა შანტაჟს, ინფორმაციის კონტროლს და ა. შ. 1990-იანების პოლიტიკური სისტემის ლიკვიდაციის შემდეგ „საზოგადოებამ“ დაკარგა მოთხოვნებისა და ინტერესების გამოხატვის უნარი, თუკი არ ჩავთვლით პროგნოზირებადი პოლიტიკური კურსის („წესრიგის აღდგენის“) სურვილს, რაც ასოცირდებოდა ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლასთან, რომელიც ფსიქოლოგიურად ბევრად მძიმე დასაძლევი აღმოჩნდა, ვიდრე 1980-იანების ბოლოსა და 1990-იანების პირველი ნახევრის კრიზისი. ამ დროისათვის მოსახლეობის მდგომარეობა ხასიათდება არა მხოლოდ

1 სახელმწიფო საგეგმო კომისია – Госплан

აპათიით, დეპრესიითა და დაღლილობით, არამედ სრული დეზორიენტირებულებით, უიმედობით, პერესტროიკისა და რეფორმების შედეგების მიმართ იმედგაცრუებით.

ასეთი ფსიქოლოგიური ატმოსფერო ხელს უწყობს "მხსნელის" მოლოდინის გაზრდას, რაც წინ უძღვის ავტორიტარული მმართველის „გამოჩენასა" და „აღიარებას". მაგრამ პუტინი არ ყოფილა პოლიტიკური ლიდერი, რომელიც სათავეში ედგა რომელიღაც მძლავრ სოციალ-პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ მოძრაობას, არც ქარიზმა ჰქონდა. ის იყო მოვალეობის შემსრულებელი და სრულიად უფერული პოლიტიკური ფიგურა, რომელიც იმ დროს აპარატის წვრილფეხა ფუნქციონერს წარმოადგენდა და იდეოლოგიურ შეფერილობას სრულიად მოკლებული იყო. პოლიტიკური ქარიზმის შარავანდედი მას შემდგომ შეუქმნეს, როცა უკვე სრული ძალაუფლება მოიპოვა. მას არ ჰქონია საკუთარი დამაჯერებელი პროგრამა, არც პოპულისტი დემაგოგის გაქნილი ენით გამოირჩეოდა. მან მოახერხა და დაეყრდნო დაგროვილ მასობრივ რესენტიმენტსა და უკმაყოფილებას, გამოკვეთა მასობრივი სიძულვილის ობიექტები და ასე გაუკვალა გზა აგრესიას, მიმართა ის ძალაუფლების ჩამოყალიბებული სისტემისგან გარე ფაქტორებისკენ: ეს იყო „ტერორიზმი", „ოლიგარქები", „საზიზღარი 90-იანების" ფანტომი, „დასავლეთი", „NATO", „ფერადი რევოლუციები" და ა.შ. მისი პოპულარობა მყარი მხოლოდ მას შემდეგ გახდა, რაც ადმინისტრაციამ სრული კონტროლი მოიპოვა მედიაზე, რაც ეთერში რეჟიმისთვის ნებისმიერი არასასურველი ინფორმაციის გაჟონვას გამორიცხავდა. პრეზიდენტის მოწინააღმდეგეთა ძალისმიერი განეიტრალებისა და მოსახლეობის მორჩილებისკენ იძულების პროცესის გაფართოება დაიწყო ცენზურის დაწესებით („კურსკის" კატასტროფის შემდეგ, როცა დამოუკიდებელ ჟურნალისტებს აეკრძალათ ჩეჩნეთში საომარი მოქმედებების გაშუქება), НТВ[2]-ს განადგურებით და ОРТ[3]-ს ხელში ჩაგდებით, ასევე ЮКОС[4]-ის რაიდერული ლიკვიდაციით. ბესლანის ტრაგედიის შემდეგ რეგიონული მმართველობის რეფორმა გატარდა, რომელმაც არსებითად გაანადგურა რუსეთის სახელმწიფო სისტემის ფედერალური საფუძვლები და ა. შ. (დანართი. გრაფ. 2-5).

ტოტალიტარიზმის რეგენერაციის ახლანდელი ფაზის პრინციპული განსხვავება მისი ადრეული ფაზებისაგან იმაში გამოიხატება, რომ რუსეთში არ აღინიშნება რევოლუციონური ტოტალიტარული მოძრაობები, რომლებიც გააერთიანებდა და აღძრავდა სამყაროს რადიკალურად შეცვლისკენ სწრაფვას პრინციპულად ახალი სოციუმი-სახელმწიფოს ასაშენებლად. მეორადი ტოტალიტარიზმი, ზედნაშენი, სხვაგვარად აგვარებს ამ პრობლემას – თავისი მასობრივი საყრდენის დემონსტრირებით, ანდა ამგვარი მოძრაობის იმიტაციით. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინიციატივით ადგილებზე სხვადასხვა ექსპერიმენტისა და ბიუროკრატული ღონისძიებების მეშვეობით იქმნება სხვადასხვაგვარი პროკრემლისტური ორგანიზაციები. ხდება "ხალხის სპონტანური გამოსვლები" – მიტინგები და დემონსტრაციები ლოზუნგით „За Путина" (პუტინისათვის), „ერთიანი რუსეთისათვის" და ა. შ. ბევრი ფსევდოსაზოგადოებრივი ორგანიზაცია აწყობს სპექტაკლებს ვითომცდა ხალხის ნების სპონტანური გამოვლინების, „საზოგადოებრივი აზრისა" თუ მისი ცალკეული სეგმენტების ეგიდით – „Наши" (ჩვენიანები), „Местные" (ადგილობრივები), „Молодая гвардия" (ახალგა-

2 რუსეთის ტელეკომპანია

3 რუსეთის ტელეკომპანია

4 რუსული სანავთობო კომპანია

ზრდა გვარდია), казачество (კაზაკობა), „Офицеры России“ (რუსეთის ოფიცრები), SERB[5], „Боевое братство“ (მებრძოლი ძმობა), НОД[6], ОНФ[7], „уралмашивские[8]“ (ურალმარშელები). ყალიბდება სხვადასხვაგვარი ფონდები, რომლებიც პრეზიდენტის, გუბერნატორების თუ კორპორაციული გრანტებით ფინანსდება ანდა ხელისუფლებასთან დაკავშირებული კომპანიების, მეწარმეების, სპეცსამსახურების ვეტერანთა ორგანიზაციების, ავღანელების[9], მართლმადიდებელი ბაირაღოსნების[10] სპონსორობით იქმნება. ისინი მთლიანობაში ქმნიან პარამილიტარისტულ რეზერვისტულ ორგანიზაციებს, რომლებშიც შედის ასევე „კაზაჩესტვო“, დაცვის სააგენტოები, რაც წარმოშობს ისეთ კერძო სამხედრო დაჯგუფებებს (რომლებიც, წესით, კანონით აკრძალულია), როგორიცაა „ვაგნერი“ ან კადიროვის რაზმები. ისინი გამოიყენებოდა დონბასში ომის საწარმოებლად და ოპოზიციონერთა და კრემლის კრიტიკოსთა დასახოცად. ასეთი დაჯგუფებების დახმარებით, რომლებსაც კანონის დარღვევის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის იმუნიტეტი აქვთ, ხორციელდება საკუთრების რაიდერული ექსპროპრიაცია ან გასხვისება, ტერორი, არჩევნების გაყალბება, მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების პროტესტის ჩახშობა.

მათ სამართავად და გასაკონტროლებლად გამოიყენება საიდუმლო პოლიტიკური პოლიციისა და კრიმინალური ქსელების თანამშრომლობის გამოცდილი პრაქტიკა, რაც სახელმწიფო ინსტიტუტების ტრანსფორმაციის ადრეული სტადიებისთვის იყო დამახასიათებელი: არაფორმალური კავშირები, გარიგებები, მათ დასამორჩილებლად შექმნილი ქსელები, რაც მაფიოზური საშუალებებისა და ტაქტიკისგან გადმოიღეს – მკვლელობები, თავდასხმები, შანტაჟი, მაქინაციები, კაპიტალის გატანა, ფირმა-საფენების შექმნა, ასევე, ფეხბურთის გულშემატკივრების გაერთიანებებით, ახალგაზრდული ჯგუფებით მანიპულირება და ა. შ. გადაუდებელი აუცილებლობისას ან კონტროლის სფეროდან მათი გასვლის შემთხვევაში მათი ლიკვიდაცია და განადგურება ხდება, როგორც ეს იყო რუსული ნაციონალისტური ორგანიზაციების შემთხვევაში მაიდანის მოვლენების შემდგომ, ან „ახალგაზრდა გვარდიის“, „ჩვენიანების“, „სელიგერის“ და სხვათა შემთხვევაში.

2. ძალოვანი სტრუქტურების როლი – პოლიტიკური პოლიცია, არმია, სამართალდამცავი ორგანოები.

ტოტალიტარული სისტემის რეგენერაციის წინაპირობები პუტინის ხელისუფლებაში მოსვლამდე დიდი ხნით ადრე შეინიშნებოდა. მაგალითად: ელცინი უკვე იყენებდა არმიასა და სპეცსამსახურებს ოპონენტების გასანადგურებლად – რსფსრ უმაღლესი საბჭოს დამცველების წინააღმდეგ, იმ ხალხის წინააღმდეგ, ვინც უწინ ხელისუფლებასთან, გორბაჩოვთან ბრძოლისას მას გვერდით ედგა. ძალადობისკენ მიბრუნება თავიდან დროებით მოვლენად ჩანდა, დემოკრატიული პრინციპებისგან იძულებით, სიტუაციურ გადახვევად აღიქმებოდა უარესი შედეგის – სამოქალაქო ომის თავიდან ასაცილებლად. 1993 წლის შეიარაღებული ამბოხების ჩახშობამ და მწვავე კონფრონტაციამ (რეფორმების პოპულარობის

5 Русское освободительное движение «SERB», *რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა*

6 რუსეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა

7 სრულიად რუსეთის სახალხო ფრონტი

8 ურალმაშის კრიმინალური დაჯგუფება

9 ავღანეთის ომში მებრძოლი საბჭოთა ჯარისკაცები

10 რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არსებული რელიგიურ-პოლიტიკური ორგანიზაცია „Союз православных хоругвеносцев“

დაცემასთან ერთად) დაასუსტა დემოკრატების ხელისუფლება და თავად ელცინიც, ხოლო გენერალიტეტზე და საკუთარ დაცვაზე (КГБ-ს ინსტიტუციურ ნარჩენებზე) დაყრდნობის პოლიტიკამ ქვეყანა არა მხოლოდ ჩეჩნეთის პირველ ომამდე მიიყვანა, არამედ მთელი ძალოვანი ბლოკი (გენერალიტეტი, სპეცსამსახურები) გააძლიერა და პრეზიდენტი მათზე დამოკიდებული გახადა. პრეზიდენტის პოპულარობის დაცემასთან ერთად ხელისუფლებიდან დემოკრატების თანდათანობითი გაძევება მოტივირებული იყო რეჟიმის თვითგადარჩენის ინტერესებით. ამას არაორაზროვნად ამტკიცებდა რეჟიმის ლეგიტიმაციის საფუძვლის მოძიებისთვის წარმოებული კვლევები: „ნაციონალური იდეის“ დამუშავებისთვის მიცემული დაკვეთა, რომელიც პრეზიდენტის ანალიტიკური მართვის ექსპერტებმა, უწინ თავგადაკლულმა ლიბერალებმა მიიღეს. ეს დაკვეთა დაგვირგვინდა „რუსულ ტრადიციებთან“ მიბრუნებით, მართლმადიდებლობის, თეთრი მოძრაობის აპოლოგიისა და იმპერიული სტილის გამოცოცხლებით. შეიძლება ითქვას, რომ ეს ელცინის ავტორიტარიზმის გარდამტეხი წერტილი იყო – ჩეჩნეთის კოლონიალური ომი ჩიხში შევიდა, დემოკრატიული რესურსები ამოწურული იყო. ელცინის რეიტინგი 1995 წლის ბოლოს (საპრეზიდენტო არჩევნებამდე წელნახევარი იყო დარჩენილი) მხოლოდ 4-5%-ს შეადგენდა.

3. *ძალადობრივი ინსტიტუტების პრივატიზაცია.*

ძალოვანი ორგანოები, რომლებიც სახელმწიფოს მეთაურისა და მისი კოჰორტის პირად განკარგულებაში იმყოფება, აკონტროლებენ საკუთრებასა და ეკონომიკურ აქტივებს, განსაზღვრავენ საგარეო-პოლიტიკურ კურსს და სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკას, ატერორებენ ოპონენტებს და რეჟიმის მოწინააღმდეგეებს, თვალყურს ადევნებენ დანიშნულ გუბერნატორებს, კადრულ დანიშვნებს ყველა (ყოველ შემთხვევაში – საკვანძო თანამდებობებზე მაინც) სახელმწიფო უწყებასა და ორგანიზაციაში (Волков 2012). დღეს სახელმწიფო აპარატი გამოიყენება მმართველი წრეების პირადი მიზნებისთვის, რეგიონული გუბერნატორებისა და ადმინისტრატორების ჩათვლით. ფსევდოსაბაზრო ეკონომიკა მოიცავს სახელმწიფო სექტორის უზარმაზარ ოდენობას, რომელიც არაპროდუქტიულია თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის თვალსაზრისით, მაგრამ ის აკმაყოფილებს მმართველი კლასის წარმოდგენებს, ინტერესებსა და შეფასებებს. რეჟიმი არაა ორიენტირებული მოსახლეობის კეთილდღეობაზე, მისი ფუნქცია შემოიფარგლება იმ საკვანძო კორპორაციების პრიორიტეტების უზრუნველყოფით, რომლებზეც დამოკიდებულია ხელისუფლების მდგრადობა – ესაა სამხედრო მრეწველობა, სასაქონლო მრეწველობა, მშენებლობა. თუმცა ეს უკანასკნელი მხოლოდ იმ კომპანიათა სახით, რომლებიც სახელმწიფო შეკვეთებს იღებენ ხელისუფლების გლორიფიკაციისთვის განკუთვნილ პომპეზურ და ამბიციურ პროექტებზე – РЖД[11], სპორტი, არმია, ეკლესია.

4. ტოტალიტარული სახელმწიფოს სისტემის აღდგენისათვის უკიდურესად მნიშვნელოვანი ელემენტი გახდა *ხელისუფლებისა და ძალადობის ინსტიტუტებში პარალელური რეპროდუქციული (საგანმანათლებლო) სტრუქტურების აღმოცენება.* *საბჭოთა* სისტემის კრახმა მოიტანა საბჭოთა დროის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტოტალიტარული ინსტიტუტის – ნომენკლატურის ინსტიტუტის ლიკვიდაცია, რომელიც ფუნქციონერთა კადრების სელექციისა და მომზადებისთვის იყო განკუთვნილი. ეს კადრები სოციალურ სტრუქტურაში საკვანძო პოზიციებზე ნაწილდებოდა, გადაჰყავდათ ერთი სფეროდან მეორეში,

11 რუსეთის რკინიგზა

რათა ჩინოვნიკები ადგილობრივ ქსელებში/კავშირებში არ ჩაზრდილიყვნენ და ამას ხელი არ შეეშალა ზემოდან მომავალი ბრძანებითი სიგნალების შესრულებისთვის. ამ მექანიზმის უწინდელი სახით აღდგენა პუტინის დროს ვერაფრით მოხერხდა, მიუხედავად იმისა, რომ ძალისხმევა არ დაუკლიათ. თუმცა, ყველაზე მეტად წონიანი და გავლენიანი უწყებები (ФСБ[12], МВД[13], ФСИН[14], გენპროკურატურა და ა. შ.) ჩამოაყალიბა სწორედ საგანმანათლებლო ინსტიტუტებმა (ე. წ. აკადემიებმა, რომლებიც საბჭოური სამხედრო აკადემიებისა და „ნომენკლატურისთვის" განკუთვნილი დახურული პარტიული სასწავლო დაწესებულებების მოდელის მიხედვით შეიქმნა). მნიშვნელოვანია, რომ ისინი იზოლირებულია სამოქალაქო უნივერსიტეტებისა და ფართო პროფილის უმაღლესი სასწავლებლების გავლენისაგან. ამ დაწესებულებში განხორციელებული სოციალიზაცია უზრუნველყოფდა საბჭოთა დახურული დაწესებულებების (პირველ რიგში, ადმინისტრაციული სისტემის ხერხემლის, КГБ-ს) „ეთიკისა" და სულისკვეთების მემკვიდრეობით გადაცემას, რაც გახდა კიდეც სისტემის რეგენერაციის წინაპირობა.

5. ხელისუფლების რევერსიული ცენტრალიზება ვერ განხორციელდებოდა ფედერაციული პრინციპების – რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის ლიკვიდაციისა და ადგილებზე მმართველობის ადმინისტრაციული სისტემის ძირეული შეცვლის გარეშე[15]. რეგიონული პარტიების გაუქმებასთან ერთად შეიქმნა პრეზიდენტის ფედერალური ოლქები (რაც კონსტიტუციაში არ იყო ჩაწერილი), რითაც რესპუბლიკათა ისედაც შეზღუდული სუვერენიტეტი გაუქმდა და ამით რეგიონთა მეთაურებს მკვეთრად შეუმცირდათ უფლებამოსილება. გუბერნატორთა არჩევნები ხან უქმდებოდა, ხან ისევ აბრუნებდნენ, რითაც გუბერნატორი იქცა ფიგურად, რომელიც სრულიად მოწყვეტილი იყო ადგილობრივი მოსახლეობისა რეგიონული ელიტების პრობლემებისგან. მცირე ხნის გასვლის შემდეგ იგივე მოხდა მსხვილი, პრინციპულად მნიშვნელოვანი ქალაქების მერების არჩევნებთან დაკავშირებითაც – მერები „ქალაქის მენეჯერებად" გარდაიქმნენ. მუნიციპალური ფილტრებისა და პარტიათა და კანდიდატთა სელექციური რეგისტრაციის პრაქტიკის დანერგვის შემდეგ არჩევნები ადმინისტრაციული თვითნებობის დემოკრატიულ ფასადად იქცა. გადასახადების აკრეფის ცენტრალიზებამ შემოსავლების ბიუჯეტური გადანაწილების მექანიზმი ცენტრის სრული დიქტატის ქვეშ მოაქცია, რაც ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ყელში წაჭერილი მარყუჟის მსგავსი იყო. ამგვარი მმართველობითი სისტემის მზარდ დისფუნქციებს კრემლი აგვარებს საარჩევნო რეპრესიებით (რაც მიმართულია იმ მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკების წინააღმდეგ, ვინც ხელმძღვანელობის უკმაყოფილებას იწვევს) და გუბერნატორ-გამგებლების სულ უფრო მზარდი ცირკულაციით. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში გამოიცვალა გუბერნატორთა სამი მეოთხედი. მოსკოვიდან დანიშნულმა უფლებამოსილმა პირებმა რეგიონი რეალურად აქციეს კრემლის სატრაპიებად. ამ ვითარებაში პროვინციებში ადგილობრივი ხელისუფლებებისა და

12 რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახური

13 რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტრო

14 რუსეთის ფედერალური სასჯელაღსრულების სამსახური

15 რუსეთის ფედერალიზმის საკითხებზე იხ. Захаров А. E Pluribus Unum. Очерки современного федерализма. М.: Московская школа политических исследований, 2003; Захаров А. Унитарная федерация. Пять этюдов о российском федерализме. М., 2008

ბიზნეს-ელიტების ინტერესები სრულიად უგულებელყოფილია, რაც დაძაბულობასა და უკმაყოფილებას აძლიერებს.

6. *პარტიული სისტემა:* სსრკ-ს აღსასრულმა და 1991 წლის პუტჩის შემდეგ სკკპ-ს აკრძალვამ გააჩინა რამდენიმე ათეული წვრილი პოლიტიკური პარტია, რომლებიც დაშლილი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ნომენკლატურის ფრაგმენტებისგან შედგებოდა. ამ მერყევი პარტიული სისტემის თავისებურება იყო გაორებული სტრუქტურა: ა) შედარებით მსხვილი წარმონაქმნები, რომლებმაც დუმაში წარმომადგენლობა მოიპოვეს და ბ) მათი დუბლიორები-აუტსაიდერები. პუტინის ხელისუფლებაში მოსვლასთან და არჩევნებზე კონტროლის დამყარებასთან ერთად მრავალპარტიულ სისტემასაც ყელი გამოჭრეს. უკვე 2000-იანების დასაწყისში შეიქმნა პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ მართული ფსევდო-პარტიების უფრო მოქნილი სტრუქტურა, რომლის დანიშნულებაც, პირველ რიგში, იყო სპონტანური და ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი საზოგადოებრივი მოძრაობების, ინტერესთა ჯგუფებისა და სამოქალაქო ინიციატივების სტერილიზაცია. პუტინის პარტიებთან კონკურენტული პარტიების ლიდერებისგან მომავალი საფრთხე განეიტრალდა ჩუმი შანტაჟით, სისხლისსამართლებრივი დევნის მუქარით, მოსყიდვითა და კრემლის პატრონაჟის ქვეშ არსებულ სისტემაში მათი ჩათრევით. ამ „სისტემური პარტიების“ (ЕР[16], КПРФ[17], ЛДПР[18], СР[19]) ფუნქციები მდგომარეობს შემდეგში:

ა) ერთიან ელექტორალურ მანქანად ქცევა რეჟიმის ლეგიტიმაციისათვის მოჩვენებითი პოლიტიკური პლურალიზმისა და ხალხის ნების გამოხატულების იმიტაციის შესანარჩუნებლად;

ბ) ვერტიკალური მობილობის არხად ყოფნა ადგილობრივი ელიტებისათვის და სხვადასხვა დონის ადმინისტრაციებისთვის კადრების შესარჩევად;

გ) რეგიონული და სამაუწყებლო ინტერესების ლობირება

ამ პარტიებს თავისთავად არანაირი პოლიტიკური მნიშვნელობა არ გააჩნიათ, რადგან ისინი რეალურად არ წარმოადგენენ ხელისუფლებისათვის მებრძოლ პარტიებს და არც აპირებენ ამ მიზნისთვის ბრძოლას. დუმაში მათი ყოფნაც კი არ ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ ბიუჯეტის განაწილებაში ჩაერთონ ან ხელისუფლების საქმიანობა აკონტროლონ. მათი ქმედებები, პროგრამები და ხელმძღვანელობა ყოველთვის კრემლის ადმინისტრაციასთანაა შეთანხმებული. ასე გადაიქცა სახელმწიფო დუმა (ფსევდო-პარლამენტი) დარგობრივი და რეგიონული ლობისტების კრებად, რომლებიც მორჩილად ასრულებენ პრეზიდენტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებებს.

რეგიონული პარტიებისა და გუბერნატორების არჩევითობის გაუქმება, ფედერაციის საბჭოს შემადგენლობის შეცვლა (რომელშიც ახლა გუბერნატორები კი არა, კრემლთან შეთანხმებით დანიშნული მათი წარმომადგენლები შედიან) არის კონსტიტუციური გადატრიალება და რბილი დიქტატურის დამყარება. ამ დროიდან კანონპროექტების 70% ხელისუფლების ინიციირებულია, რაც ხელისუფლების ცენტრალიზებული ვერტიკალის საბოლოო ფორმირებას და წმინდად ნომინალურ დეკორაციულ ფსევდოპარლამენტარიზმს ნიშნავს.

16 პოლიტიკური პარტია „ერთიანი რუსეთი“ (Единая Россия)

17 რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტია (Коммунистическая партия Российской Федерации)

18 რუსეთის ფედერაციის ლიბერალ-დემოკრატიული პარტია (Либерально-демократическая партия России)

19 სოციალისტ რევოლუციონერთა პარტია (Партия социалистов-революционеров)

„თავისუფალი, სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნების“ ინსცენირება მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსახლეობის აპათიის გაღრმავებაში და დიდ ნაწილს პოლიტიკური მონაწილეობის სურვილს უკარგავს. „ყველაფრის მიუხედავად, შეიძლება მაინც ეცადო რამის გაკეთებას და ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალო“ – ამ ილუზიით მხოლოდ მოსახლეობის სოციალურად ანგაჟირებული ჯგუფები იკვებებიან და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეების მონაწილეობის ამ პერიოდული ცერემონიალით ინტერესდებიან. ბორტს მიღმა დარჩენილი პოლიტიკური აუტსაიდერები (კერძოდ, დემოკრატიული გაგების პარტიები) წვრილფეხა საინიციატივო ორგანიზაციებს წარმოადგენენ, რომლებიც ქვემოდან ამოიზარდნენ. ისინი მოკლებულნი არიან ელექტორალურ კონკურენციაში მონაწილეობის შესაძლებლობას, რადგან: ა) არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციისთვის არსებობს სხვადასხვა ფილტრი და ბარიერი; ბ) აგიტაციის საწარმოებლად და ამომრჩევლებთან სამუშაოდ მათ ფინანსურ საშუალებებს ართმევენ, უბლოკავენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებას. ნებისმიერი ნამდვილი პოლიტიკოსი (საჯარო ფიგურები, რომლებსაც ქარიზმატული ლიდერის სახასიათო ნიშნები აქვთ, ხალხის ყურადღების მიპყრობის უნარებს ფლობენ და მოსახლეობის სოციალური ჯგუფების ინტერესებს გამოხატავენ – მაგ. ბ. ნემცოვი, ა. ნავალნი, დ. გუდკოვი, ლ. შლოსბერგი და სხვა) სრულიად გაანეიტრალეს ძლიერი დისკრედიტაციული პროპაგანდით, ისინი პოლიციური და სასამართლო დესპოტიზმის მსხვერპლნი გახდნენ. სხვებს მედიის, ადმინისტრაციული და სოციალური ქსელების საშუალებით ცილისწამებისა და დისკრედიტაციის კამპანია აუგორეს. ზოგი მოკლეს, ზოგი ციხეშია, „გამოსასწორებელ კოლონიებში“.

პუტინიზმი, როგორც სოციალ-პოლიტიკური და ადმინისტრაციული სისტემა ვერ შეიქმნებოდა, ადმინისტრაციას სრული მონოპოლია რომ არ მოეპოვებინა ინფორმაციულ სფეროზე, პირველ რიგში, ტელევიზიის ფედერალურ არხებზე და მსხვილტირაჟიან გამოცემებზე. ფედერალური არხებმა, რომლებიც ყველაზე დიდი აუდიტორიას მოიცავდა 2001-2003 წლების შემდეგ დაკარგეს უწინდელი დამოუკიდებლობა და ეფექტიანი პროპაგანდის მანქანის ელემენტებად იქცნენ. პროპაგანდისა და საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციის სისტემაში პრინციპული ცვლილებების მეორე სერია დაიწყო უკვე 2010-2012 წლების მასობრივი ანტი-პუტინისტური დემონსტრაციების შემდეგ. ამ გამოსვლებსა და აქციებს პასუხად კანონმდებლობის მკვეთრი გამკაცრება და რეპრესიული პრაქტიკის გაფართოება მოჰყვა სამოქალაქო ორგანიზაციებისა და არაფორმალური გაერთიანებების მიმართ, გაძლიერდა ცენზურა და შეიცვალა დამოკიდებულება საინფორმაციო კომპანიების მიმართ. ია მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომლებმაც თავისი პუბლიკაციებით კრემლის უკმაყოფილება და გაღიზიანება გამოიწვია, რჩებოდნენ საეთერო სიხშირეების გარეშე, მათ აიძულებდნენ, შეეცვალათ მფლობელები ან სარედაქციო შემადგენლობა, აჯარიმებდნენ და ემუქრებოდნენ.

პროპაგანდა განსაკუთრებით აგრესიული და დემაგოგიური გახდა ყირიმის ანექსიის შემდეგ.

დღეს კრემლი აკონტროლებს საინფორმაციო დროისა და სივრცის 90-95%-ს. ალტერნატიული (დამოუკიდებელი აღარ არსებობს) საინფორმაციო არხები სართო აუდიტორიის მხოლოდ 7-8%-ს ფარავს. ახალი მოვლენაა გასართობი ტელევიზიებისა და ფეიკ-ნიუსების მომრავლება, რაც მოსახლეობის გაღიზიანებას ანეიტრალებს – ხალხის ყურადღება გადართულია აურზაურზე, ჭორებზე, სკანდალებზე, რაც მასობრივი ცნობიერების სტერილიზაციას ემსახურება (Волков и Гончаров 2017; Kachkayeva 2009; Gudkov 2016). ასეთ გა-

დაცემებს საეთერო დროის დიდი ნაწილი უჭირავს. მათი დომინირება შეიმჩნევა პროვინციებში, სადაც სოციალური ქსელები და ინტერნეტი ნაკლებად მისაწვდომია ტექნიკური შეზღუდვებისა და ფინანსური სიდუხჭირის გამო.

უკრაინის ომის დაწყების შემდეგ დაიხურა 240-ზე მეტი პოპულარული გამოცემა და ინტერნეტ-პორტალი („ნოვაია გაზეტა", „ეხო მოსკვი", „დოჟდი", „მედუზა" და სხვა), რომლებსაც წვდომა ჰქონდათ როგორც რეგიონულ, ისე ფედერალურ აუდიტორიაზე, დაიბლოკა ფეისბუკი, ტვიტერი, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ათასეულობით გვერდი, ამდენივე ბლოგერი დაჯარიმდა ან სისხლისსამართლებრივი ან ადმინისტრაციული დევნის ქვეშ მოყვა. თუმცა ინტერნეტი და სოციალური ქსელები მაინც ვერ უწევს კონკურენციას ოფიციალურ ტელევიზიებსა და გამოცემებს და არც მათ ალტერნატივას წარმოადგენს (Волков и Гончаров 2019). მანიპულაციის ამგვარი მანქანის პროდუქტიულობას უზრუნველყოფს საინფორმაციო ველიდან ნეგატიური ინფორმაციის გაძევება ან მიჩუმათება, არასაჭირო თუ არასასიამოვნო ამბების იზოლაცია, მოქმედი ადმინისტრაციის მიერ სენტიმენტალურ-ნაციონალისტური რეკლამის თავსმოხვევით და მმართველი რეჟიმის მიღწევათა ქება-დიდებით, პარალელურად – დასავლეთის პოლიტიკის, კულტურის, მორალის, ღირებულებების განუწყვეტელი ტენდენციური მხილებით და ა. შ.

წერტილოვან პროფილაქტიკურ რეპრესიებთან ერთად ინფორმაციულ სფეროში გაბატონებამ და პროპაგანდისტულმა დემაგოგიამ სრულიად ახალი ეფექტი მოიტანა საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების წარმატებაში. ის შედეგი, რაც ადრე, ტოტალიტარული რეჟიმების დროს ფართომასშტაბიანი ტერორით, დევნისა და დაბეზღების კაპილარული სისტემის გამოყენებით, „სიძულვილის" რიტუალებით, რიგითი მოქალაქეებისა და სისტემის ფუნქციონერთა დაშინებითა და ფიზიკური განადგურებით მიიღწეოდა, დღესდღეობით შეუდარებლად რბილი საშუალებებით მოაქვს შედეგი: პროპაგანდით, ნებისმიერი სახის ინფორმაციის უსწრაფესი გავრცელებით – მუქარით დაწყებული, დისკრედიტაციით დამთავრებული.

7. 1990-იანების პოლიტიკისგან განსხვავებით დღეს ახალ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ესაა ერთიანი იდეოლოგიის ჩამოყალიბება, რომელსაც სახელმწიფო პატრიოტიზმი შეიძლება ეწოდოს. მისი ძირითადი დებულებები შეიცავს ორგანული სოლიდარობისა და ნაციონალური ერთობის შემდეგ თეზისებს:

1) რუსეთი დიადი სახელმწიფოა, რადგან ის მსოფლიოში ბირთვული არსენალის მფლობელი ორი დიდი სახელმწიფოდან ერთ-ერთია. ამ იარაღით მას ნებისმიერი მტრის განადგურება შეუძლია;

2) რუსეთი ათასწლოვანი ისტორიის ქვეყანაა, განსაკუთრებული ცივილიზაციაა, რომელიც ჩამოყალიბდა იმ რწმენის საფუძველზე, რომ ეს სახელმწიფო წარმოადგენს ძალას, რომელიც ქმნის, აყალიბებს და იცავს(მფარველობს) რუს ერს. რუსი ერი – ესაა რჩეული, დიადი ერი, რომელსაც წინასწარ აქვს განსაზღვრული განსაკუთრებული ბედი: ტანჯვისა და გამარჯვების. ამიტომ მას მსოფლიო ისტორიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს. რუსეთი დიადი გახდა (სულიერი და ტერიტორიული თვალსაზრისით) მოწინააღმდეგე ძალებთან (მონღოლებთან და დასავლეთთან) განუწყვეტელი ბრძოლით;

3) რუსეთი – მართლმადიდებელი ქვეყანაა, სადაც ისტორიულად ერთმანეთს შეერწყა სახელმწიფო და ეკლესია; სწორედ მართლმადიდებლობის წყალობით შეინარჩუნა მან თავისი სულიერება, თავისი ღირებულებები, მორალი და ტრადიციები. ამიტომ ხელისუფლე-

ბასა და ხალხს შორის არც არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს არანაირი წინააღმდეგობა.

4) როგორც პუტინმა ბრძანა, ჩვენ დიადი ქვეყანა ვართ, ჩვენ არ უნდა გვრცხვენოდეს ჩვენი წარსულის (იგულისხმება, პირველ რიგში, სტალინური ტერორი და მილიონობით ადამიანის მკვლელობა მასობრივი რეპრესიების, კოლექტივიზაციის დროს. აგრეთვე – ქრონიკული სიღარიბე და ჩამორჩენილობა დასავლურ განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით). ყველა ქვეყანას აქვს ისტორიის ბნელი ფურცლები, მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს ჩვენი მიღწევები, ვიამაყოთ ჩვენი გამარჯვებებით და რუსეთის ქაოსური წარსულის ტრაგიკული მოვლენები ჩვენთვის გაკვეთილად უნდა იქცეს.

5) ჩვენ ძლიერები ვართ, სანამ ერთიანები ვართ. იმ ტანჯვა-წამებამ და მსხვერპლმა, რაც ჩვენმა ხალხმა გადაიტანა სახელმწიფოს შენარჩუნებისათვის, სამამულო ომში გამარჯვებისათვის, არა მარტო სული და ნებისყოფა განგვიმტკიცა, არამედ მორალური უფლებაც მოგვანიჭა, პირობები წავუყენოთ სხვა ქვეყნებს და ვაიძულოთ ისინი, გაითვალისწინონ ჩვენი დიადი ქვეყნის ინტერესები. ისინი, ვინც არ ემსახურება ამ განსაკუთრებულ ინტერესებს და არაა მზად, თავგამოდებით დაიცვას სამშობლო, წარმოადგენენ მოღალატეებს, ხალხის მტრებს, მეხუთე კოლონას, უცხო სახელმწიფოების აგენტებს. ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები იყო: სასკოლო განათლებაში ისტორიის ერთიანი სახელმძღვანელოს დანერგვის მცდელობა, რომელიც შექმნიდა სახელმწიფოს საბჭოური ფილოსოფიის ძირითად დოგმებს, „ისტორიის ფალსიფიცირების“ წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები, „ნაციზმის რეაბილიტაციის მცდელობის“ წინააღმდეგ აგორებული კამპანიები, ფართო პროგრამები დიადი ქვეყნის მითების საწარმოებლად (გამოფენები, ცერემონიები, დემონსტრაციები და მსვლელობები, ძეგლები, სატელევიზიო გადაცემები, ტელეფილმები და სხვ.). საბოლოოდ ეს ნიშნავდა წარსულის კრიტიკული გადააზრების აკრძალვას, მეხსიერების ამოშლას სტალინურ რეპრესიებზე და დანაშაულებრივი სახელმწიფოს კრიტიკის ჩახშობას, იმ ისტორიკოსთა დაპატიმრებას და გასამართლებას (ი. დმიტრევი და სხვები), რომლებიც აგროვებდნენ დოკუმენტებს და მასობრივი დახვრეტების ადგილებზე მემორიალურ აქციებს ატარებდნენ.

ეს იდეები სავსებით ქმედითი გახდა ორი გარემოების: ტოტალური დაფარვისა და განუწყვეტელი ზემოქმედების წყალობით. თუმცა ამ პროცესს უზრუნველყოფენ ინსტიტუტები, რომლებიც ამ იდეოლოგემებსა და მითებს ავრცელებს და ამით მოსახლეობის მუდმივ მასობრივ ინდოქტრინიზაციას ახორციელებს. ამ საფუძველზე იძულებითი და უალტერნატივო წესით ხდება ახალი თაობის სოციალიზაცია (საჯარო სკოლა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები, გამოფენები, კომერციული ღონისძიებები, მასობრივი ცერემონიები და ზეიმები, ძეგლები და ქალაქში განთავსებული სააგიტაციო ბანერები და რეკლამები და სხვ.).

სწორედ პროპაგანდის მუშაობაა ასახული რუსეთში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების მასალებში. რუსული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გამოწვეული მილიტარისტული და ანტიდასავლური ისტერიკის ამოფრქვევამ მოსახლეობაში მოახლოებული დიდი (მსოფლიო) ომის ძლიერი შიში გააჩინა. გამოკითხულთა 71%-ს (2021 წ. ნოემბერ-დეკემბერში. ესაა მაქსიმუმი ჩვენი 30-წლიანი კვლევების განმავლობაში) ეშინოდა მოვლენათა ამგვარი განვითარების, თუმცა იმედი ჰქონდათ, რომ ეს საფრთხე „ჩაივლიდა“, რომ, როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე, საქმე სიტყვიერი შეხლა-შემოხლით ამოიწურებოდა. ვისთან იყო ეს ომი მოსალოდნელი, მეტნაკლებად ცხადი იყო: 37% თვლიდა, რომ

უკრაინასთან, 25% – NATO-ს ასახელებდა. თებერვალში („სპეცოპერაციის“ დაწყების წინ უკრაინასთან ომის ვარაუდს უკვე 45% გამოთქვამდა, ეს ომი ნაკლებსავარაუდოდ მიაჩნდა 49%-ს. ამგვარი პერსპექტივა 47%-ს აშინებდა, თუმცა ძველებურად არ სჯეროდათ და მშვიდად აგრძელებდნენ ცხოვრებას. მასობრივი განწყობები უკრაინის მიმართ ამ დროისათვის ასეთი იყო: „ცუდად“ – 52%, კარგად – 36%.

საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ რუსების წარმოდგენები უფრო ნეგატიური გახდა – მაისში ანალოგიური მაჩვენებლები შეადგენდა: 66% – „ცუდად“ და 22% – კარგად (ამასთან, სჭარბობდა ოპცია „ძალიან ცუდად“ – 41%). მიუხედავად ამისა, საომარი მოქმედებების დაწყებამ რუსებში ძალიან წინააღმდეგობრივი და არეულ-დარეული გრძნობები გააჩინა. რუსეთის მიმართ სიამაყით აღივსო 38%, აღფრთოვანება და სიხარული გამოხატა გამოკითხულთა 11%-მა. პირიქით, შფოთვა, საშინელების მოლოდინი და შიში გაუჩნდა 28%-ს, შოკი, ბრაზი, აღშფოთება – 18%-ს, 14%-მა კი განაცხადა, რომ შერცხვა, დაითრგუნა და თავზარი დაეცა. ზოგიერთი რესპონდენტი ერთდროულად განიცდიდა შიშსაც და კმაყოფილებასაც. მაგრამ ამ ემოციების ინტენსივობა და მათი გამოხატვა თვალსაჩინოდ განსხვავდება გამოკითხულთა ჯგუფების მიხედვით: ნეგატიური განცდები ძირითადად ახალგაზრდებისათვისაა დამახასიათებელი, დადებითი განწყობები ორჯერ მაღალია საშუალო მაჩვენებელზე – ხანდაზმულებში, პროვინციაში მცხოვრებ (სოფლის, პატარა და საშუალო ქალაქის) მოსახლეობაში. უკრაინაში რუსეთის არმიის ქმედებების მხარდაჭერის ხარისხი თებერვალში 68%-მდე, მარტში კი – 81%-მდე გაიზარდა, აპრილსა და მაისში კი 74-77%-მდე ჩამოვიდა (ცხრილი 2).

ცხრილი 2

	სრულიად ვეთანხმები + გარკვეულწილად ვეთანხმები	გარკვეულწილად არ ვეთანხმები + სრულიად არ ვეთანხმები	მიჭირს პასუხის გაცემა
თებერვალი*	68	23	9
მარტი	81	14	5
აპრილი	74	19	7
მაისი	77	17	6
ივნისი	75	20	5
ივლისი	76	18	7
აგვისტო	76	17	7
სექტემბერი	72	21	7
ოქტომბერი	73	20	7

კითხვა: პირადად მხარს უჭერთ თუ არა უკრაინაში რუსეთის შეიარაღებული ძალების ქმედებებს?

სატელეფონო გამოკითხვა 27.02.22, N=1504; მარტი-ოქტომბერი: პირადი ინტერვიუ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, N=1600.

შეცდომა იქნებოდა, პუტინის პოლიტიკისა და უკრაინის ომის მხარდაჭერის ასეთი მაღალი დონე საზოგადოების რეაქციის სპონტანურ გამოხატულებად მიგვეჩნია. ორგანიზებული კონსენსუსი აუცილებელი პირობაა იმ სოციუმის ფუნქციონირებისათვის, რომელიც ტოტალიტარული ხდება. ეს შეუძლებელი იქნებოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე მონოპოლიის მოპოვების გარეშე, რომლებიც პროპაგანდის მანქანადაა ქცეული და მასობრივ ცნობიერებაში რეალობის გამარტივებული ხატები შეაქვს. ომის დაწყებასთან ერთად მთლიანად აიკრძალა (ოფიციოზთან მიმართებით) ალტერნატიული ინფორმაცია. ეს ნიშნავს, რომ რუსეთის საზოგადოება იზოლირებულია რეალური ინფორმაციისაგან: სამხედრო დანაკარგების, მაროდიორობის, მკვლელობების, გაუპატიურებებისა და უკრაინის მოსახლეობის წინააღმდეგ რუსი სამხედროების მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულების გაგებისაგან. რუსეთის მოსახლეობას აწვდიან მხოლოდ იმ ინფორმაციას, რასაც აუცილებლად მიიჩნევს МО РФ[20]. მომხმარებელთა მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობას (მარტში დაახლოებით – 7-8%, ოქტომბერში – 22%), რომელსაც შესაბამისი უნარები და კომპეტენცია გააჩნია, შეუძლია გადალახოს „როსკომნადზორის“[21] ბლოკირებული დაბრკოლებები. ომის (და პრეზიდენტის საქმიანობის) მხარდამჭერთა სამი მეოთხედი ინფორმაციას ძირითადად ტელევიზიიდან იღებენ ან მხოლოდ მას ენდობიან (ომის არმსურველთა შორის ტელემაყურებელთა წილი მხოლოდ 24%-ია, სპეცოპერაციის მოწინააღმდეგეთა 54-59% ძირითადად ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებს იყენებს საომარი მოქმედებების შესახებ ინფორმაციის მისაღებად). უკრაინაში ნათესავების ყოლა დიდ როლს არ თამაშობს.

პროპაგანდისა და სხვა ინსტიტუტების ხანგრძლივმა მუშაობამ გააცოცხლა საბჭოთა ტიპის ტოტალიტარული პოლიტიკური კულტურის ღრმად დაფარული შრეები, რამაც დაადამბლავა რეპრესიული ხელისუფლების შესახებ სუბიექტური აზრის ქონისა და შეფასების ჩამოყალიბების უნარი. ხდება მასობრივი იდენტიფიკაცია დიად სახელმწიფოსთან, მის სამხედრო ძლიერებასთან, მის ღირებულებებთან, მის სუვერენულ უფლებასთან, თავისი ნება სხვა ქვეყნებს მოახვიოს თავს. მხარდაჭერის დამატებით გარემოებებად უნდა მივიჩნიოთ ომის გამართლების ფაქტორები: პირველ რიგში, „ჩვენი საომარი მოქმედებები დასავლეთიდან მომდინარე საფრთხემ გამოიწვია“ („ჩვენ“ ამ შემთხვევაში „სხვისი აგრესიის, NATO-ს ექსპანსიის მსხვერპლი ვართ); მეორე – უკრაინელი ნაცისტებისგან დონბასის მრავალტანჯული მოსახლეობის განთავისუფლების ვალდებულება, უკრაინის დენაციფიკაცია; მესამე – ომი, რომელსაც თვალთმაქცური სახელწოდება „ სპეციალური სამხედრო ოპერაცია“ უწოდეს, თავიდანვე აღიქმებოდა ლოკალურ ოპერაციად, დროითა და მასშტაბებით შეზღუდულ საომარ მოქმედებებად (რასაც დაბეჯითებით ამტკიცებდა პუტინი და რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არაა მსოფლიო, „დიდი“ ომი, როგორიც იყო 1941-1954 წლებში. ამან ცოტა დაამშვიდა მასობრივი ცნობიერება, რომელიც ჩაეჭიდა პროპაგანდის შემოთავაზებულ ვერსიას და შინაგანი კვაზი-მორალური დისკომფორტის გრძნობა მოიხსნა.

27 თებერვალს დასმულ კითხვაზე: „ჰქონდა თუ არა რუსეთს უფლება, დაეწყო საომარი მოქმედებები უკრაინის ტერიტორიაზე“? გამოკითხულთა 48%-მა პირდაპირ განაცხადა: „დიახ. რუსეთს აქვს ამის უფლება. მან უნდა დაიცვას თავისი ინტერესები.“ ცნობიერების ამ ტიპში არ არსებობს წარმოდგენა სამართლის (საერთაშორისო სამართლის) შესახებ და

20 რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრო

21 რუსეთის კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მასმედიის ზედამხედველობის ფედერალური სამსახური

მორალური მხარე. ეს საბჭოთა ცნობიერების ინერციაა, ტოტალიტარული სახელმწიფოს მოქალაქის აზროვნება. ამგვარი პასუხები იმპერიული თუ „ველიკოდერჟავნიკული“ სინდრომის არსებითი გამოხატულებაა – ძალის უფლებამოსილება, როგორც კოლექტიური წარმოდგენების ნორმა. შემდეგმა 29%-მა განაცხადა: „ზოგადად, რუსეთს ამის უფლება არ აქვს, მაგრამ უკრაინის რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვის შემთხვევაში ის სწორად იქცევა“. ეს რესპონდენტები თავის გასამართლებლად იყენებენ იმ არგუმენტებს, რასაც პროპაგანდა 2014 წელს ამბობდა. მხოლოდ სტაბილური 15% უარყოფდა რუსეთის უფლებას, დაეწყო ომი, ეს ომი მათში სირცხვილის, აღშფოთებისა და სასოწარკვეთილების გრძნობებს იწვევდა. (8%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა)[22].

სხვაგვარად რომ ვთქვათ, რუსების ძირითადი მასა მზადაა, ნებისმიერი საფუძველი გამონახოს ხელისუფლების ქმედებების გასამართლებლად, რომელთანაც საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენენ, როგორც მთლიანი ქვეყნის ნაწილი. ამგვარად, იმათ შორის, ვინც პრეზიდენტ პუტინის მოღვაწეობას ამართლებს, საომარი მოქმედებების მხარდამჭერთა წილი 86%-ს შეადგენს (ომის მოწინააღმდეგენი ამ მასაში მხოლოდ 8%-ია). პირიქითაც, პუტინის მოწინააღმდეგეებს შორის სრულიად საწინააღმდეგო სურათი იხატება: რუსული არმიის უკრაინაში შეჭრის გამამტყუნებელთა წილი 83%-ია და მხოლოდ 13% ამართლებს სპეცოპერაციას. (პრეზიდენტის მიმართ კრიტიკულად განწყობილი ნაწილიდან ეს ძირითადად კომპარტიის მხარდამჭერები არიან). პუტინის პოლიტიკას უკრაინასთან მიმართებით არ ეთანხმება ახალგაზრდობის შედარებით დიდი პროცენტი (27% 15%-თან შედარებით, საშუალო მაჩვენებელია აღებული). ასეთი უარყოფითი განწყობის წილი მინიმალურია უფროსი თაობის ადამიანებში (10%). მოსკოვში ომის მხარდამჭერია 52%, დიდ ქალაქებში – 60%, პროვინციაში – 65-იდან 77%-მდე. მთლიანობაში ამგვარი განაწილება ნარჩუნდება ყველა კვლევის განმავლობაში (დანართი. გრაფ. 7)

საზოგადოებრივი აზრი უკრაინას სუვერენულ სახელმწიფოდ არ აღიარებს და ამიტომ არც განიხილავს მას ომის ინიციატორად თუ კონფლიქტის მიზეზად: კონფრონტაციაზე პასუხისმგებლობას რუსები ომის მთელ პერიოდის განმავლობაში (ისევე, როგორც საქართველოსთან ომის დროს) აშშ-სა და NATO-ს აკისრებენ (2022 წლის თებერვალში – 60%, აპრილში – 57%). უკრაინის ხელისუფლებას ადანაშაულებს მხოლოდ 14-17%. უკრაინის წინააღმდეგ აგრესიასა და მისი ტერიტორიების ოკუპაციაში რუსეთის ხელმძღვანელობას ადანაშაულებს გამოკითხულთა მხოლოდ 1-იდან 3%-მდე (იმდენივე, რამდენიც ომზე პასუხისმგებლობას არაღიარებულ რესპუბლიკებს აკისრებს – 1%). ამ კონტექსტში ისინი პუტინის კვალდაკვალ იმეორებენ მის პოლიტიკურ კლაკიორებს: რუსეთი იძულებული იყო, თავი დაეცვა – ჩვენ მაინც დაგვესხმებოდნენ თავს და ამიტომ დავასწარით.

რომ შევაჯამოთ: უნდა ვაღიაროთ, რომ პუტინის ამჟამინდელი ომი უკრაინაში შემთხვევითი მოვლენა არაა. ესაა რუსეთის რევერსიული მოძრაობის კანონზომიერი განვი-

22 იხ.: ლევადა-ცენტრის ახლახანს გამოსული პრეს-გამოშვებები, რომლებიც შეიცავს უკრაინის ომთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების მონაცემებს: https://www.levada.ru/2022/10/27/konflikt-s-ukrainoj-oktyabr-2022-goda/; https://www.levada.ru/2022/09/01/konflikt-s-ukrainoj-avgust-2022-goda/; https://www.levada.ru/2022/10/21/obshhestvo-v-sostoyanii-stressa/; https://www.levada.ru/2022/10/13/uchastie-chvk-v-ukrainskom-konflikte/; https://www.levada.ru/2022/09/06/otnoshenie-k-stranam-i-ih-grazhdanam/; https://www.levada.ru/2022/09/02/obshhestvennoe-mnenie-o-budushhem-hersonskoj-i-zaporozhskoj-oblastej-ukrainy/. ასევე სოციოლოგიური გამოკითხვების განხილვები ამ ომთან დამოკიდებულების შესახებ: http://re-russia-org და ჟურნალ „პალადიუმის“ სპეცგამოშვება: Социология войны // Палладиум. Журнал Свободного университета-Free University Moscow Journal 2022? #3 (2)/

თარება. რუსეთს არ შეუძლია გადალახოს თავისი წარსული, თავისი „ველიკოდერჟანიკული“ ტრადიციები. რუსებს არ უნდათ ომი, მათ ეშინიათ ომის, მაგრამ არ აპროტესტებენ. თავიანთი არმიის (= სახელმწიფოს, ხელისუფლების) სიძლიერეში დარწმუნებულობა რამდენიმე თვეა, კლებულობს – თუკი გაზაფხულზე გამოკითხულთა 75% სჯეროდა, რომ ომი ორ-სამ კვირაზე მეტს არ გაგრძელდებოდა და უკრაინის არმიის განადგურებით დასრულდებოდა, შემოდგომისთვის რესპონდენტთა დიდი ნაწილი უკვე იხრება იმ აზრისაკენ, რომ ომი გაურკვევლად დიდხანს გასტანს, ერთ წელს, ან შეიძლება, მეტსაც. ამიტომ, სექტემბრის მობილიზაციის შემდეგ გაიზარდა ომის შეწყვეტისა და სამშვიდობო მოლაპარაკებათა დაწყების მომხრეთა რიცხვი: აგვისტოში ასეთი თანაფარდობა გვაქვს: 44% – იდან 48%-მდე ზრდა, ოქტომბერში კი 36% უკვე 57%-მდე ავიდა.

მაგრამ არსებული კვლევა მხოლოდ ადამიანთა შეხედულებებია და არა ქმედებები. რეალური ქცევა ასეთია: მორჩილი დაქვემდებარება და მკვლელობებისადმი მზადყოფნა, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, რუსეთიდან გაქცევა. არასრული მონაცემების მიხედვით რუსეთიდან სამხედრო გაწვევას გაექცა რეალურად გაწვეულებზე ორჯერ მეტი ახალგაზრდა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ზრდასრული მოსახლეობის ორ მესამედს არ სჯერა, რომ ხელმძღვანელობა „ნაწილობრივი გაწვევით“ დაკმაყოფილდება. პირიქით, ყველა ფიქრობს, რომ ეს ქრონიკული, გამოფიტვისაკენ მიმართული ომის მხოლოდ პირველი სტადიაა. ეს ომი სულ უფრო და უფრო მეტ საზარბაზნე ხორცს მოითხოვს პუტინის რეჟიმის შესანარჩუნებლად.

რუსული საზოგადოების პოლიტიკური კულტურა, რომლის არსია სახელმწიფოს ნებასთან ადაპტაცია, ხელისუფლების მორჩილება (რომელიც საზოგადოებრივი წინააღმდეგობის უქონლობის გამო არა მარტო კორუმპირებული, არამედ მაფიოზურიც გახდა[23]), ადრე თუ გვიან მუდმივად აწარმოებს სტიმულს ექსპანსიისაკენ, ომისაკენ, რაც რეჟიმს გამართლების საფუძველს მისცემს – მისი სრული სუვერენიტეტი დაამყაროს მოსახლეობაზე. პოსტსაბჭოთა რუსეთის 31-წლიანი არსებობის პერიოდიდან 26 წელი ეს ქვეყანა სხვადასხვა ინტენსივობისა და სხვადასხვა მასშტაბის ომის წარმოებით იყო დაკავებული.

23 ბ. მადიარის ტერმინი

დანართი

გრაფიკი 1



(გრაფიკის ტეხილები წარმოადგენს დადებითი და უარყოფითი შეფასებების ოდენობას: „ძალიან დადებითი“+ „ძირითადად დადებითი“/„ძირითადად უარყოფითი“ + „ძალიან უარყოფითი“; არაა გათვალისწინებული პასუხი „მიჭირს შეფასება“).

გრაფიკი 2



გრაფიკი 3

როგორ მიგაჩნიათ, ჰყავს თუ არა დღევანდელ რუსეთს მტრები?



გრაფიკი 4

როგორ ფიქრობთ, რამდენად სანდოებია არიან?



აგვისტო, 2020; №1600

გრაფიკი 5

ძალოვანი სტრუქტურებისა და სამართალდამცავი ორგანოების მიმართ ნდობის მაჩვენებელი

ინდექსი გამოითვლება როგორც „საკმაოდ სანდო“ + „ნახევრად სანდო“ + სრულად არასანდო + 100



გრაფიკი 6

ზოგადად რა დამოკიდებულება გაქვთ ... მიმართ?



გრაფიკი 6



გამოყენებული ლიტერატურა

Gudkov, Lev. 2016. Traces of Defeat. Why the Propaganda Effect Will Be Felt for a Long Time Yet./ Russian Politics & Law (Russian Politics at the End of 2015: Continuing Deinstitutionalization). 54 (4): 386–394. URL: http://dx.doi.org/10.1080/10611940.2016.1207466

Kachkayeva Anna. 2009. Glamour Totalitarism the Television Industry in the epoch of stability (2004–2007). — В кн.: World of media: Медиамир

Лёзина, Евгения. 2021 XX век: проработка прошлого. Практики переходного правосудия и политика памяти в бывших диктатурах. Германия, Россия, страны Центральной и Восточной Европы. М., НЛО

Волков, Вадим. 2012. Силовое предпринимательство. СПБ: изд-во ЕУСПБ

Волков, Денис и Гончаров, Степан. 2017. Российский медиаландшафт-2017: основные тенденции использования СМИ. М.: «Левада-центр»

Волков, Денис и Гончаров, Степан. 2019. Российский медиаландшафт-2019. Телевидение, пресса, интернет, социальные сети. Третий отчет по исследованиям Левада-центра. https://www.levada.ru/2019/08/01/rossijskij-media-landshaft-2019/ (19.01.2023)

Гудков Лев. 2001. „Тоталитаризм“ как теоретическая рамка: попытки ревизии спорного понятия. Мониторинг 6

Гудков Лев. 2004. Негативная идентичность, М., НЛО. 362-446;

Гудков Лев. 2022. Вторичный или возвратный тоталитаризм / / Гудков Л. Возвратный тоталитаризм. М., НЛО, Т.2, 406-535.

Kachkayeva, Anna. 2009. Glamour Totalitarism the Television Industry in the epoch of stability (2004–2007). *World of media. Journal of Russian Media and Journalism Studies*